ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N17

21.08.2018 *ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2*

16:30 საათი *ოთახი 2-01*

მიმდინარე წლის 21 აგვისტოს, 16:30 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), ლევან ჯაფარიძე (კომისიის წევრი), დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი), ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წევრი) და დავით რურუა (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 6 (ექვსი) წევრის დასწრებით.

სხდომას თავმჯდომარეობდა - **გიორგი ჩაკვეტაძე.**

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენა და სამომავლო გეგმების დასახვა (**მომხსენებელი - გიორგი ჩაკვეტაძე,** სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე);
2. დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის განხილვა (**მომხსენებელი- გიორგი ჩაკვეტაძე,** სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე);

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

სხდომაზე კომისიის წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია სპორტისა ადა ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ *(საანგარიშო პერიოდი 2017 წლის ნოემბერი-2018 წლის ივლისი)*.

გიორგი ჩაკვეტაძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ საანგარიშო პერიოდში ჩაატარა 16 *(თექვსმეტი)* კომისიის სხდომა, სხდომებზე განხილულია 48 *(ორმოცდარვა)* საკითხი, მათ შორის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების, განკარგულებების პროექტები, სამსახურის და რაიონული გამგეობების ანგარიშები, სპორტის და ახალგაზრდულ თემატიკასთან დაკავშირებული პროგრამა/პროექტები და განცხადებები, სულ შემუშავდა 15 *(თხუთმეტი)* სამართლებრივი დასკვნა, კომისიის სხდომებზე დგება წერილობითი ოქმი და ინახება სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩანაწერი.

საანგარიშო პერიოდში კომისიას დაეწერა 253 *(ორასორმოცდაცამეტი)* კორესპოდენცია, კომისიის მიერ ყველა მათგანი განიხილულია და მოხდენილია შესაბამისი რეაგირება.

საანგარიშო პერიოდში კომისიის ორგანიზებით და ინიციატივით ჩატარდა არაერთი ღონისძიება, მათ შორის საქართველოს პირველი ახალგაზრდული ფორუმი ადგილობრივი თვითმმართველობისთვის, რომელიც პირველად გაიმართა და მიზნად ისახავდა სხვადასხვა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს შორის ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებას და კომუნიკაციის გაუმჯობესებას, ფორუმს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, დედაქალაქის მერი და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ. ფორუმში დელეგატის სტატუსით 64 *(სამოცდაოთხი)* მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყველაზე ახალგაზრდა წევრები *(ასაკი 21-29 წელი)* მონაწილეობდნენ. მათ წარმოადგინეს საკუთარი საქმიანობის შესახებ მოხსენებები, შეთანხმდნენ თანამშრომლობის შემდგომ ნაბიჯებზე, შეიმუშავეს საერთო წინადადებები, რაც ერთიან რეზოლუციაზე ხელმოწერით დაადასტურეს. აღნიშნულიდან გამომდინარე ფორუმის ფარგლებში სექტემბერში იგეგმება შემდეგი შეხვედრის ჩატარება ქუთაისში ან ბათუმში.

კამპანიის ,,წარმატებული სპორტსმენები საკრებულოში" ფარგლებში კომისიის ორგანიზებით გაიმართა რამდენიმე მიღება, კომისია მომავალშიც გააგრძელებს ტრადიციას, რომელიც ეხება სხვადასხვა სპორტში წარმატებული სპორტსმენების მოწვევასა და წახალისებას.

ასევე გაგრძელდება კამპანიური აქცია „როდესაც სპორტი ცვლის სამყაროს", რომელიც გულისხმობს სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრას წარმატებულ სპორტსმენებთან ერთად, კამპანია მიზნად ისახავს სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას. საანგარიშო პერიოდში კომისია იმყოფებოდა რამდენიმე საჯარო სკოლაში. აღნიშნული ღონისძიება ხორციელდება ახალგაზრდული ფორუმის ფარგლებში.

კომისიის ინიციატივით, ხორციელდება მუნიციპალიტეტში დასაქმებული საჯარო მოხელეების სპორტული ბაზის შექმნა, უკვე 400-მდე დაინტერესებულმა თანამშრომელმა დააფიქსირა თავისი

სპორტული ინტერესი, ბაზის მეშვეობით შეიქმნება სამოყვარულო კლუბები. აღნიშნული პროექტიც ახალგაზრდული ფორუმის ფარგლებში ხორციელდება.

კომისია ყოველ 6 *(ექვს)* თვეში ერთხელ მართავს სამუშაო შეხვედრას საკრებულოს მაჟორიტარ წევრებთან და ასევე სპორტულ ფედერაციებთან და მუნიციპალურ ა(ა)იპ-ებთან. შეხვედრების მიზანს წარმოადგენს დედაქალაქში სპორტის და ახალგაზრდობის მიმართულებით განხორციელებული პროექტების განხილვა, არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და სამომავლო თანამშრომლობის გზების დასახვა.

კომისიამ სამუშაო შეხვედრა ახალგაზრდული მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციებთან გამართა, შეხვედრა მიზანი იყო ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისთვის მუნიციპალიტეტს, სახელმწიფოსა და არასამთავრობო სექტორს შორის თანამშრომლობის გაღრმავება და ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების უზრუნველსაყოფად ერთიანი ხედვის ჩამოყალიბება.

საანგარიშო პერიოდში კომისიის ორგანიზებით მოეწყო გასვლითი შეხვედრა/მონიტორინგი, მონიტორინგი განხორციელდა მუნიციპალური სპორტული და ახალგაზრდულ ა(ა)პებში, სადაც ადგილზე მოხდა მუნიციპალური ცენტრების საქმიანობის გაცნობა. მომავალშიც გაგრძელდება მონიტორინგი იმ ობიექტებზეც სადაც სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს და ასევე უკვე დასრულებულ ობიექტებზე, რომლებიც უკვე ფუნქციონირებს.

საანგარიშო პერიოდში სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე და კომისიის წევრი დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად მოვლინებით იმყოფებოდა ესპანეთში, ქალაქ ბილბაოსა და ვიტორიაში, სადაც გაიმართა მნიშვნელოვანი სამუშაო შეხვედრები. შეხვედრების ერთ-ერთი მთავარი თემა იყო სპორტული ობიექტების მშენებლობა. ესპანეთის გამოცდილება სპორტულ ობიექტებთან დაკავშირებთ სრულიად იქნება გათვალისწინებული, თბილისში მულტიფუნქციური ობიექტების მშენებლობისას.

კომისიამ მოისმინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ბიუჯეტის შესრულება. საქალაქო სამსახურის მიერ ხორციელდება ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი ლისის ტბაზე „თბი-ლისი" რომელიც მომავალშიც გაგრძელდება, დაფინანსდა სპორტის 34 *(ოცდათოთხმეტი)* სახეობაში 18 *(თვრამეტ)* წლამდე ასაკის 240 *(ორასორმოცი)* წარმატებული სპორტსმენი და თბილისის 35 *(ოცდათხუთმეტი)* სპორტული ფედერაცია.

ინფრასტრუქტურის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების ფარგლებში, თბილისის ორ რაიონში დაიწყება - **ვარკეთილსა და დიდ დიღომში - მულტიფუნქციური სპორტული კომპლექსების** მშენებლობა. ამ ეტაპზე, დასრულდა სამშენებლო-საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურებაზე ტენდერი. აღნიშნულ ცენტრებში განთავსებული იქნება ახალგაზრდული და კულტურული სივრცეებიც, სადაც მოქალაქეები სხვადასხვა სერვისს მიიღებენ, მიმდინარეობს ა(ა)იპ ,,გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრის" ნაძალადევის კომპლექსის, საცურაო აუზისა და სპორტული დარბაზის სამშენებლო სამუშაოები და წყნეთში საჭიდაო დარბაზის მშენებლობა.

საანგარიშო პერიოდში კომისიმ, ასევე მოისმინა რაიონული გამგეობების ბიუჯეტის შესრულება, სპორტული, ახალგაზრდული და კეთილმოწყობის ღონისძიებების მიმართულებით, რაიონულმა გამგეობებმა კომისიას წარუდგინეს კვარტლური ანგარიშები, ყველა განხორციელებული და განსახორციელებელი სპორტული და ახალგზარდული ღონისძიებების თაობაზე, რაიონული გამგეობების მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების შედეგად ქალაქს შეემატა 60-მდე სატრენაჟორო სივრცე, რაზეც მოთხოვნა მზარდია, აშენდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 90-მდე სპორტულ მოედანს.

კომისიის სამომავლო გეგმები: შემოსული მასალების განხილვა და მათზე რეაგირება, მოქალაქეების მიღება, კომისიის სხდომების ორგანიზება და ჩატარება, ა(ა)იპ-ებსა და სსიპ-ებში ინფრასტრუქტურისა და მათი საქმიანობის მონიტორინგი. მულტიფუნქციური სპორტული ცენტრების სამუშაოების კოორდინაცია, წარმატებული სპორტსმენების მიღება, კამპანია „როდესაც სპორტი ცვლის სამყაროს" გაგრძელება. რეგიონული შეხვედრა ადგილობრივი თვითმმართველობის პირველი ახალგაზრდული ფორუმის ფარგლებში. ევროპის საბჭოს ოფისთან მოლაპარაკებების დაწყება თბილისში ,,ევროპის ახალგაზრდული ცენტრის'' განთავსების შესაძლებლობაზე, თბილისში სპორტისა და ახალგაზრდობის საჭიროებების ერთიან კვლევასა და სტრატეგიაზე მუშაობა, მაჟორიტარ დეპუტატებთან კოორდინაცია, თემატური შეხვედრები: ახალგაზრდულ, სპორტულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მჭიდრო კოორდინაცია საქალაქო სამსახურთან და რაიონულ გამგეობებთან - ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგისა და საქმიანობის ზედამხედველობის კუთხით, სხვადასხვა ღონისძიებისა და აქტივობის დაგეგმვა და მონაწილეობა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ, ანგარიში *(საანგარიშო პერიოდი 2017 წლის ნოემბერი 2018 წლის ივლისი)* **კომისიამ ცნობად მიიღო.**

,,სითი ინსტიტუთან" 10 აგვისტოს შეხვედრის შემდეგ განიხილეს დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, კონკრეტულად კი იმსჯელეს შესაბამისი ინფრასტრუქტურის ინვენტარიზაციაზე და სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით. სპორტული სივრცეების ფუნქციური ზონების განსაზღვრის მიზნით, კომისიამ სითი ინსტიტუტს გადაუგზავნა სპორტული ობიექტების სია, რომლებზეც მსჯელობა გაიმართა შეხვედრაზე.

დღევანდელ სხდომაზე კომისიამ იმსჯელა დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის პროექტზეც, კერძოდ დიდ დიღომში მდებარე რაგბის სტადიონის, ასევე დედაქალაქის ტერიტორიაზე არსებული მინი სპორტული მოედნების თაობაზე და **მიიღო გადაწყვეტილება, რომ ,,სითი ინსტიტუტს" დამატებით, გადაეგზავნოს სპორტული ობიექტების სია შესაბამისი ფუნქციური ზონის დაზუსტების მიზნით. კომისია აგრძელებს გენ-გეგმის განხილვას.**

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე